## ხელშეკრულება№61

## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.თბილისი „ 26 დეკემბერი 2016წელი“

ერთის მხრივ, შ.პ.ს. „მესტიის საავადმყოფო-ამბულატორიული გაერთიანება“ ს/კ 435892483 (შემდგომში – შემსყიდველი), მისი დირექტორის, ბ-ნ. ხამორ რატიანის სახით და მეორეს მხრივ შპს „ჯეოპრინტი“ ს/კ 205080785 (შემდგომში მიმწოდებელი), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია სტამბური მომსახურება CPV79800000-ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების შესყიდვა. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვა დანართი №1-ის შესაბამისად (დანართი №1 წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს), წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვა.

### 2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია CPV79800000 -ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურეობები.

### 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 2350(ორიათას ას ორმოცდაათი) ლარს, დღგ-ს, ტრანსპორტირების, დაზღვევის და სხვა თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

### 4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

### 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. მომსახურების განხორციელების განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

5.2. მომსახურების განხორციელების ადგილია: ქ.თბილისი.

5.3.მომსახურების განხორციელების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (სასაქონლო ზედნადები/ანგარიშ-ფაქტურა).

### 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურების განხორციელების მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

### 7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

7.2. გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშწორებით.

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მომსახურების განხორციელებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

7.4. ანაზღაურების ადგილია დაბა მესტია.

## 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ხელშეკრულების ხელმოწერიდან არა უგვიანეს 5 (ხუთი) დღისა;

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

## 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

## 11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ ხელშეკრულებით ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## *13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## *14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები*

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს გაერთიანების დირექტორი ზამირ რატიანი.

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## *15. სხვა პირობები*

15..1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## *16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები*

შემსყიდველი:

შპს „მესტიის საავადმყოფო-
ამბულატორიული გაერთიანება"
(ს/კ 435892483)
მის: მესტია,გაბლიანის 13

საბანკო რეკვიზიტები:
ბანკი:ს/ს "ლიბერთი ბანკი"
GE23LB0113118032419000
ბ/კ LBRTGE22

დირექტორი: ზ.რატიანი

მიმწოდებელი:

შპს „ჯეოპრინტი"
ს/კ 205080785

მის: თბილისი,გორის ქ.10

საბანკო რეკვიზიტები:
საქ.ბანკის ცენტრალური ფილიალი
ა/აGE08BG0000000117052700
ბ/კ 220101502

დირექტორი: მზია ტურაზელიძე

დანართი 1

შპს "მესტიის საავადმყოფო - ამბულატორიული გაერთიანება"

| | საქონლის დასახელება | ზ/ე | რაოდენობა | ერთეულის ფასი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ამბულატორიული ბარათი 200/ა | ცალი | 1398 | 0.95 | 1328.1 |
| 2 | ჯგუფი და რეზუსის ბლანკი | ცალი | 85 | 0.076 | 6.46 |
| 3 | ბლანკი ა4(მედიკამენტების ხარჯვის და პაციენტისთვის გაწეული სამედიცინოდახმარების ჩანართი ფურცელი) | ცალი | 1250 | 0.04 | 50 |
| 4 | ხელშეკრულება სამედიცინო მომსახურებაზე | ცალი | 1006 | 0.04 | 40.24 |
| 5 | ბლანკია4(ფორმა100/ა) | ცალი | 1025 | 0.04 | 41 |
| 6 | გადაუდებელი დახმარების ბარათი 300-ა | ცალი | 1250 | 0.2408 | 301 |
| 7 | პაციენტის წერილობითი ინფორმირებული თანხმობა სამედიცინო მომსახურების გაწევაზე | ცალი | 1000 | 0.04 | 40 |
| 8 | პროთრომბინი და აინერის ბლანკი | ცალი | 100 | 0.075 | 7.5 |
| 9 | ორსულთა ისტორია (ქალთა კონსულტაცია) | ცალი | 69 | 3.95 | 272.55 |
| 10 | ფორმა 025 | ცალი | 51 | 0.15 | 7.65 |
| 11 | ვირუსების ბლანკი( ბ, ც ჰეპატიტები,შიდსი და სიფილისი) | ცალი | 50 | 0.15 | 7.5 |
| 12 | ლაბორატორიის ჟურნალი 200-11ა | ცალი | 2 | 8 | 16 |
| 13 | მიმღების ჟურნალი | ცალი | 4 | 8 | 32 |

სულ: 2150